

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის, აკაკი იმნაიშვილის მოსახლეობასთან შეხვედრის და 2018 წლის ანგარიშის წარდგენის ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

შეხვედრის ადგილი: ქ.ლანჩხუთი, შუხუთის ადმინისტრაციული ერთეული.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 29.07.2019 წელი 12:00 საათი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მერის წარმომადგენელი შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მანია კუპატაძე, შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის ადგილობრივი მოსახლეობა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ავალდებულებს საკრებულოს წევრს, რომ წელიწადში ერთხელ თავის ამომრჩევლებს წარუდგინოს ერთი წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, რათა მოსახლეობა იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა სამუშაო განხორციელდა ადმინისტრაციულ ერთეულში.

საკრებულოს წევრი აკაკი იმნაიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მაღლობა გადაუხადა მათ მობრძანებისა და აქტიურად ჩართულობისათვის.

საკრებულოს წევრმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ხვდებოდა ამომრჩევლებს, რომელთა მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურულ საკითხებს. სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება შეძლებისდაგვარად მოხდა მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების ფარგლებში. შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულიდან მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამით ისარგებლა - 56-მა ბენეფიციარმა (7839,75 ლარი); სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით - 3-მა (1827,25 ლარი); ერთჯერადი დახმარება გაეწია - 13 ბენეფიციარს (2700 ლარი); დიალეზის პროგრამაში ჩართულია -3; მრავალშვილიანი ოჯახების პროგრამაში -3 ბენეფიციარის ოჯახი; სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია - 5 ბენეფიციარს; ქირავნობის პროგრამაში ჩართულია ორი ოჯახი; გარდა ამისა ყოველთვიურ 50 ლარიან დახმარებას იღებს ორი ომის ვეტერანი; ერთი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა საშემე მერქნით.

საკრებულოს წევრმა აკაკი იმნაიშვილმა ისაუბრა იმ პროექტების შესახებ, რომელიც 2018 წელს განხორციელდა შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში. კერძოდ:

- სტიქიით გამოწვეული ზარალის გამო სახლის სახურავით უზრუნველყოფილი იქნა 27 მოქალაქე, ხოლო 5 მოქალაქის სახლი გადაიხურა;
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა ზემო და ქვემო შუხუთის წყლის სათავე ნაგებობას;
- ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა ოთხი მოქალაქის ეზოსთან (საერთო ღირებულებით 65324 ლარი); □ მოეწყო მანტკავეების უბანში მისასვლელი რკ/ბეტონის გზა;
- მოხდა კუციას ეზოსთან არსებული ხიდის დემონტაჟი და მოეწყო ახალი;
- ორი მოქალაქის ეზოსთან გაიწმინდა ჩამოწოლილი მეწყერი, მოეწყო დამცავი გაბიონი და აღდგა ხიდი;
- შუხუთის ცენტრალურ ნაწილში, ასევე გოჩა გოგუაძის უბანში მოეწყო რკ/ბეტონის სანიაღვრე არხი
- აღდგა დაზიანებული გზა გია ორაგველიძის ეზოსთან.

საკრებულოს წევრმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით როგორც ზემო, ისე ქვემო შუხუთში მოეწყო გარე განათება სრულად. ასევე, მიმდინარე წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლის ამბულატორიას. მან ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს მოხდება ორი ხიდის აღდგენა - რეაბილიტაცია, რომელიც კერძო კომპანიის მძიმეწონიანმა მანქანებმა დააზიანა. ასევე, მომავალ წლამდე იგეგმება ლელოს მუზეუმის შენობის დაპროექტება. გორის გვერდზე სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე ხდება სანიაღვრე არხების მოწყობა.

საკრებულოს წევრმა აკაკი იმნაიშვილმა ამომრჩევლებს თხოვა იმ პრობლემატური საკითხების დასახელება, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებს.

სოფ. შუხუთის მოსახლეობის მიერ დასახელებული იქნა შემდეგი პრობლემატური საკითხები. კერძოდ:

1. სოფლის მცხოვრებმა არსენ ორაგველიძემ აღნიშნა, რომ მძიმეწონიანი მანქანების მიერ დაზიანდა ჯამბულ ტულუმის სახლის მიმდებარე გზა, რომელიც საჭიროებს მოხრეშვით სამუშაოებს.
2. სოფლის მცხოვრებმა ლამარა ორაგველიძემ მოითხოვა აცანის გზაზე სიჩქარის შემანელებელი ბორცვების დამონტაჟება.
3. საკრებულოს წევრმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ შუხუთიდან ლანჩხუთში გადაადგილებისას ქვეითად მოსიარულეებს ვიწრო საფეხმავლო გზის გამო ექმნებათ პრობლემები, მან თხოვა საკრებულოს თავმჯდომარეს, დაეხმაროს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრაში და მოხდეს ფეხით სავალი ნაწილის გაფართოება, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ დახმარება აღუთქვა.
4. საკრებულოს წევრმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ დახმარებას საჭიროებს სოფლის მცხოვრები ვიტალი ხოფერია, რომელსაც აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, მას ესაჭიროება გამოკვლევები და ეტლი გადაადგილებისთვის.
5. სოფლის მცხოვრებმა ნანი ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში არ არის წყალი, რაც საჭიროებს მოგვარებას.

სოფლის მცხოვრებმა ლეილა ორაგველიძემ მადლობა გადაუხადა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას სახლის სახურავის გადახურვის გამო.

შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრს აკაკი იმნაიშვილს და მერის წარმომადგენელს შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი იმნაიშვილს პრობლემატური საკითხების მოგვარებაში დახმარებისთვის.

საკრებულოს წევრმა აკაკი იმნაიშვილმა დასასრულს აღნიშნა, რომ მისი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში შეძლების ფარგლებში შეეცდება გადაწყვიტოს ყველა ის პრობლემა, რომელიც აწუხებს შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას.

აკაკი იმნაიშვილი

აკაკი იმნაიშვილი

საკრებულოს წევრი

საკრებულოს წევრები